

მდინარე არღუნის აუზის რელიეფის გეოეკოლოგიური შეფასება

*გიორგი დვალაშვილი¹, შამილ შეთეკაური², ვაჟა ტრაპაიძე¹,
ტოლხა შეთეკაური², იოსებ ალბუთაშვილი¹*

ელ-ფოსტა: giorgi.dvalashvili@tsu.ge

¹გეოგრაფიის დეპარტამენტი, ²ბიოლოგიის დეპარტამენტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, 0179, თბილისი, საქართველო

მდინარე არღუნის აუზი საქართველოს ფარგლებში ორი ძირითადი მდინარით არის წარმოდგენილი თვით არღუნი და მისი მარჯვენა შენაკადი მდ. ანდაქი, რომელიც მდ. არღუნზე გრძელია. არღუნის და ანდაქის ხეობები სამხრეთიდან კავკასიონის წყალგამყოფი ქედით ისაზღვრება, დასავლეთიდან ხევსურეთის ქედით, აღმოსავლეთიდან და ჩრდილო აღმოსავლეთიდან აწუნთას და მუცოს ქედებით. არღუნის და ანდაქის მდინარეთა აუზებს ერთმანეთისაგან არდოტის ქედი გამოყოფს. ეს ორი მდინარე ერთმანეთს ადგილ ანატორსთან ერთვის (1334 მ ზ.დ.). ხეობები რელიეფში ღრმად არის ჩაჭრილი (1500-2000 მ). მორფოლოგიურად ისინი V-სებრია, ზოგან ვიწროა და ანტეცენდენტური. რელიეფი აგებულია ქვედა იურული ასპიდური თიხაფიქლებით, ფიქლებით და ქვიშაქვებით.

მდინარე არღუნის აუზის ძირითადი ხეობების მიმართულება საერთო ჩრდილოეთურია, მათი ძირითადი შენაკადები გუროსწყალი, გიორგწმინდა, შატილი, ჭანჭახისწყალი განედური მიმართულებით ხასიათდება და სტრუქტურების თანხვედრილია. ხეობების სათავეების რელიეფის წარმოქმნა თანამედროვე და ძველი მყინვარების მოქმედებით არის განპირობებული. რელიეფში შემონახულია ვიურმული გამყინვარების კვალი სახეცვლილი ტროგები. შატილის მიდამოებში ტბიური ნაფენებია შემონახული. ძველმყინვარული ფორმები შემონახულია არდოტისთავის მასივზე. ხეობის ფერდობებზე მეწყრებია განვითარებული, ხოლო ხეობის ძირზე გამოზიდვის კონუსები.

მდინარე ანდაქის აუზში სტიქიური პროცესები აქტიურად განვითარდა 2015 წელს. დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხონედან აღმოსავლეთით 4 კილომეტრზე, მდინარე ხონისწყლის მარცხენა შენაკადის ჰუროსწყლის ხეობაში მდებარე ნასოფლარ ჰოროს ტერიტორიაზე 2015 წლის 30 მაისს, ღამით, ხეობაში მეწყრულ-კლდეზვავური ტიპის ჩამოქცევა და ღვარცოფის ტრანსფორმაცია მოხდა. ნაზვავის ქვეშ მეცხვარე გიორგი შეთეკაური, 500 სული ცხვარი და 40 სული საქონელი მოყვა. გაწმენდით-საძიებო სამუშაოებს მაშველები 700 მეტრის სიგრძეზე ჩამოწოლილ, 8-9 მეტრის სიღრმის ნაზვავში ახორციელებდნენ. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს განსაკუთრებულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამმართველოს მაშველებმა მეწყერში მოყოლილი გიორგი შეთეკაურის ცხედარი 12 ივნისს, დილით აღმოაჩინეს. სტიქიური მოვლენები განმეორდა 2015 წლის აგვისტოშიც, მდინარე ხონისწყლის ხეობაში რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ღვარცოფულმა ნაკადმა საავტომობილო გზა და ხიდები მთლიანად გაანადგურა, აგრეთვე დიდი ზიანი მიაყენა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხონესჭალა, ხოლო სოფელ ხონესთან დამაკავშირებელი გზები ფაქტობრივად განადგურდა და სოფელი დღემდე მოწყვეტილია გარე სამყაროს.